პოლიტიკური ჩართულობის სოციო-კულტურული პროფილები ქართველ ახალგაზრდებში.

მაგისტრი: თამარ მოთიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრატურის აკადემიური ხარისხის შესაბამისად

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა კირვალიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგისტრი: თამარ მოთიაშვილი

15/06/2023

აბსტრაქტი

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში აქტიურად მიმდინარეობს პოლიტიკურ პროცესებზე მუშაობა. წინამდებარე ნაშრომი ეხება პოლიტიკური ჩართულობის სოციო-კულტურულ პროფილებს ქართველ ახალგაზრდებში. კვლევის მიზანს კი წარმოადგენს შეისწავლოს თუ რა სოციო-კულტურული ფაქტორები განსაზღვრავენ ახალგაზრდების პოლიტიკურ ჩართულობას. ანუ, რა ტიპის სოციო-კულტურული ფაქტორები და კაპიტალის ფორმები კორელირებს პოლიტიკური ჩართულობის ცვლადებთან ყველაზე მეტად, ასევე რა როლი აკისრია განათლებასა და ასაკს სხვადასხვა პოლიტიკური ჩართულობის პრაქტიკებში და რა მიმართებაა გეოგრაფიულ არეალსა და პოლიტიკურ აქტივობას შორის.

აღნიშნული საკითხი, ნაშრომში შესწავლილია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდის გამოყენებით. ანუ შერეული მეთოდით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებულია მეორად მონაცემთა ანალიზი. კერძოდ 2018 წელს ჩატარებული „European Value Survey”-ის მონაცემთა Spss ბაზა. ხოლო, თვისებრივი კვლევის ფარგლებში მიზნობრივად, თოვლის გუნდის მეთოდით შერჩეულ იქნა თბილისში მცხოვრები 19-30 წლამდე პოლიტიკურად აქტიური და პოლიტიკურად არააქტიური რესპონდენტები. სულ შეირჩა 20 ახალგაზრდა, რომლებთანაც ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ.

კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი შედეგებიდან გამომდინარე გამოვლინდა, რომ დღეს ქართველი პოლიტიკურად აქტიური ახალგაზრდა უნდა იყოს: განათლებული, აქტიური, თავდაჯერებული, პრინციპული, მონაწილეობას უნდა იღებდეს აქციებში, არჩევნებში, პეტიციაზე ხელის მოწერის პროცესში და აქტიურად უნდა ადევნებდეს თვალს პოლიტიკას სოციალური მედიის საშუალებით. ასევე, გამოვლინდა, რომ დასაქმებული ადამიანები მეტად აქტიურები არიან, ვიდრე უმუშევრები. და უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდების აქტივობას ასევე ხელს უწყობს გეოგრაფიული მდებარეობა.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური ჩართულობა; ახალგაზრდები; სოციო-კულტურული პროფილები; განათლება; ასაკი; დასაქმება; გეოგრაფიული მდებარეობალება;

Abstract

In modern Georgian society political processes are actively being worked on. The present work deals with socio-cultural profiles of political involvement among Georgian youth. The purpose of the research is to study what kind of socio-cultural factors determine the political involvement of young people. That is, what types of socio-cultural factors and forms of capital correlate with political engagement variables mostly, as well as the role of education and age in various political engagement practices and the relationship between geographic area and political activity.

The mentioned issue is studied in the paper using quantitative and qualitative methods. That is, with a mixed method. Secondary data analysis is used within the framework of quantitative research. In particular, the Spss database of the "European Value Survey" conducted in 2018. Within the framework of the qualitative research there were selected politically active and politically inactive respondents living in Tbilisi between the ages of 19-30. The interviews were conducted using the snow team method. A total of 20 young people were selected and in-depth interviews were conducted.

Based on the qualitative and quantitative results of the research it was revealed that today politically active Georgian youngster should be: educated, active, self-confident, principled, should participate in actions, elections, petition signing process and should actively follow politics through social media. It was also revealed that employed people are politically more active than unemployed ones. It has to be mentioned that the activity of young people is also facilitated by the geographical location.

Keywords: political involvement; youth; socio-cultural profiles; education; age; employment; geographic location;

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს კვლევის პროცესში აქტიური დახმარებისთვის და გვერდში დგომისთვის. ასევე, კვლევაში მონაწილე თითოეულ რესპონდენტს, რომლებმაც ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებული ინფორმაცია მომაწოდეს ჩემი სამაგისტრო ნაშრომისთვის.